„ვამტკიცებ"
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ... ბ. ფეფაძე
„25" 12 1877 2023 წ.

მაია ჩიბურდანიძის თასი - 2024

ღია და ქალთა ტურნირები სწრაფ ჭადრაკში

15 - 17 იანვარი 2024 წ.

ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 29

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ტურნირები:

2.1. ღია ტურნირი;

2.2. ქალთა ტურნირი;

3. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

4. სათამაშო წესები:

4.1. დროის კონტროლი: 15 წუთი პარტიის ბოლომდე, 10 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.

4.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად.

4.3. დაითვლება ფიდეს რეიტინგი სწრაფ ჭადრაკში.

5. ტურნირში მონაწილეობა და რეგისტრაცია:

5.1. ღია და ქალთა ტურნირში დაიშვება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ყველა მსურველი;

5.2. ყველა მონაწილეს უნდა ქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE30BG0000000584705115). ხოლო, 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს კი ასევე, დამატებით შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

5.3.მონაწილეებმა ტურნირზე დასარეგისტრირებლად უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/HM9GqghFNduvhoNu8 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ტურნირის საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. საბანკო საკომისიო მომსახურეობის თანხას იხდის გადამხდელი პირი.
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 14 იანვარი 18:00 საათი.
ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

5.4. თითოეული მონაწილის ტურნირის საწევრო შესატანია 30 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
საქართველოს
ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG0000000129766701. ბანკის კოდი BAGAGE22

5.5. სატურნირო შესატანისგან განთავისუფლებულნი არიან მოჭადრაკეები ფიდეს შემდეგი წოდებებით: GM, IM, WGM, WIM.

5.6. მონაწილეთა ცხოვრების, კვების, გზის და სატურნირო შესატანის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

6. ტურნირების განრიგი:

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	15 იანვარი	
გახსნა / მისალმება	16 იანვარი	14:45
I ტური	16 იანვარი	15:00
II ტური	16 იანვარი	16:00
III ტური	16 იანვარი	17:00
IV ტური	16 იანვარი	18:00
V ტური	16 იანვარი	19:00
VI ტური	17 იანვარი	15:00
VII ტური	17 იანვარი	16:00
VIII ტური	17 იანვარი	17:00
IX ტური	17 იანვარი	18:00
დახურვა	17 იანვარი	19:00

7. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

7.1. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ურთიერთშორის შეხვედრა;

ბ) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);

გ) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

დ) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;

ე) მოგებების მეტი რაოდენობით.

7.2. ღია და ქალთა ტურნირებში I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასით, მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით; II - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით;

8. საპრიზო ფონდი:

8.1. ღია და ქალთა ტურნირების ფულადი პრიზი - 7300 ლარი:

ტურნირი	1	2	3	4	5
ღია ტურნირი	1300	900	700	500	250
ქალთა ტურნირი	1300	900	700	500	250

8.2. ერთი და იგივე მონაწილის მიერ ორი პრიზის მოპოვების შემთხვევაში პრიზიორს გადაეცემა მხოლოდ ერთი უდიდესი პრიზი.

8.3. ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად;

8.4. თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.

8.5. პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

9. საერთო წესები:

9.1. ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

10. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი